

**შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს
ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი**

თავი 1. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მიზანი და მოქმედების სფერო

1. ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესის (შემდგომში „წესი“) ადგენს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტთა ქცევის ისეთ სტანდარტებს, რომლებიც გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და შეესაბამება უნივერსიტეტის კანონიერ მიზნებს და ამოცანებს;
2. წესის მიზანია დაწესებულებაში ქცევის ისეთი ნორმების დამკვიდრება, რომლებიც ხელს შეუწყობს:
 - ა) უნივერსიტეტის პერსონალის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვან შესრულებას;
 - ბ) უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალისა და სტუდენტების შესაბამისი პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას;
 - გ) უნივერსიტეტის მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებას;
 - დ) აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას;
 - ე) პროფესიულ საქმიანობაში კანონმდებლობის და უნივერსიტეტში მოქმედი აქტების მოთხოვნების განუხრელ დაცვას.
3. წინამდებარე წესი არეგულირებს უნივერსიტეტში წარმოშობილ ეთიკურ პრობლემებს, დასაქმებული პერსონალისა და სტუდენტების საქმიანობის ძირითად პრინციპებს, ადგენს ქცევის წესებს და ურთიერთობის ეთიკურ სტანდარტებს, განსაზღვრავს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებითა და მოქმედი სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელის სახეებს, დისციპლინური დევნის დაწყების, დისციპლინური წარმოების განხორციელებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს.

თავი II. ეთიკური ნორმები

მუხლი 2. ეთიკური ნორმები

1. უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალი, თავის პროფესიულ საქმიანობას უნდა წარმართავდეს კეთილსინდისიერების, პატიოსნებისა და პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით. იგი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს კულტურის, თავაზიანობის, ღირსების, ურთიერთპატივისცემის, ნდობის, მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებით, საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებით.

მუხლი 3. პერსონალის ვალდებულებები

1. პერსონალი ვალდებულია თავისი პროფესიული და თანამდებობრივი მოვალეობებიდან გამომდინარე დაიცვას ეთიკის ნორმები:

ა) პატივი სცეს, დაიცვას საქართველოს კონსტიტუტუციით, მოქმედი კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები;

ბ) დაიცვას პიროვნების ღირსების პატივისცემის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები;

გ) დაიცვას უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები;

დ) თანამშრომლებს და სტუდენტებს მოეპყროს სამართლიანად და პატივისცემით;

ე) პატივი სცეს დაწესებულებას და მის ტრადიციებს;

ვ) ხელი შეუწყოს საზოგადოებაში უნივერსიტეტის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას;

ზ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის რეპუტაციას;

თ) არ გამოიყენოს თანამდებობრივი მდგომარეობა და საკუთარი ავტორიტეტი პირადი გამორჩენის მიზნით, არ მოითხოვოს კანონით გაუთვალისწინებელი შეღავათები და დათმობები, რაც მათ კოლეგებსა თუ სტუდენტებს ეთიკური დილემის წინაშე დააყენებს;

ი) არ მიიღოს საჩუქარი, ან ფულადი თანხა დაწესებულების სტუდენტებისგან, ან სტუდენტთან დაკავშირებული სხვა დაინტერესებული პირისაგან, სარგებლისა თუ გამორჩენის მიზნით;

კ) საზოგადოებასთან ურთიერთობისას პატივისცემით მოეპყროს თანამოსაუბრეებს, საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას ტაქტიანად გამოხატოს დასაბუთებული კრიტიკა;

ლ) პატივი სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას, თუ ამით არ ილახება მესამე პირთა უფლებები და თავისუფლებები;

მ) კოლეგებთან ურთიერთობისას იხელმძღვანელოს პროფესიული სოლიდარობის პრინციპით;

ნ) დაუშვებელია პერსონალისა და სტუდენტის მხრიდან ყოველგვარი დისკრიმინაცია. პერსონალი ვალდებულია ხელი შეუწყოს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის

აღმოფხვრას, მათ შორის: აკადემიური, რასობრივი, პოლიტიკური, რელიგიური, თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, ასაკის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით;

ო) პერსონალმა თავი უნდა შეიკავოს დაწესებულების ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვასა თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი სამსახურებრივი მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას;

პ) არ დაუშვას პლაგიატის შემთხვევები.

2. პერსონალი ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის და კეთილგანწყობის დამკვიდრებას;

ბ) თავი აარიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;

გ) საკუთარი გამოცდილება გაუზიაროს კოლეგებს;

დ) თავი შეიკავოს კოლეგის საქმიანობაში ჩარევისაგან;

ე) არ მოითხოვოს კოლეგისაგან ისეთი მომსახურების გაწევა, რომელიც გაართულებს მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას;

ვ) წინასწარ განზრახულად არ შეიყვანოს კოლეგა შეცდომაში;

ზ) დაუშვებელია ანონიმური წერილები, ასევე, დაუსაბუთებელი ან თუნდაც დასაბუთებული განცხადებები და კომენტარები კოლეგის პირადი ცხოვრების შესახებ;

თ) საქმიანობისას იხელმძღვანელოს პროფესიული სოლიდარობის და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნისათვის აუცილებელი პრინციპებითა და ნორმებით;

ი) ხელი შეუწყოს კოლეგებს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასა და პროფესიული განვითარების საქმეში, არ დაუშვას კოლეგისა და სტუდენტის პიროვნული კრიტიკა, შეურაცხყოფა, დამცირება, ცილისწამება ან ანონიმურად დადანაშაულება;

კ) სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას ვალდებულია გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას და გამოიყენოს მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის. თუ გამოვლინდება პერსონალის პასუხისმგებლობის საფუძველი, ამ უკანასკნელმა უნდა აანაზღაუროს უნივერსიტეტისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ლ) პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტის შესაბამისად მიიღოს შესაბამისი ზომები.

3. დაუშვებელია:

ა) პერსონალის სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება კერძო ინტერესების სასარგებლოდ;

ბ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას იმყოფებოდეს ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ, ან სხვა მდგომარეობაში, რომელიც შეუფერებელია უნივერსიტეტის ღირსებისათვის. უნივერსიტეტის შენობაში ალკოჰოლური სასმელის მიღება დასაშვებია მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებათა ფარგლებში;

4. აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია გაითვალისწინოს როგორც ზემოაღნიშნული პუნქტებით/ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეთიკის ნორმები და ვალდებულებები, ასევე დაიცვას შემდეგი წესები:

ა) სასწავლო პროცესი წარმართოს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული შესაბამისი სასწავლო კურსების (სილაბუსების) შესაბამისად;

ბ) დარგში მიმდინარე სიახლეებს და გამოწვევების გათვალისწინებით, პერიოდულად განაახლონ სასწავლო კურსის შინაარსი და სრულყოს მისი განხორციელების სწავლების მეთოდები;

გ) ლექციაზე, სემინარზე, პრაქტიკულ მეცადინეობაზე შევიდეს დროულად, ჯეროვან დონეზე მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული. არ დაუშვას მეცადინეობის დროზე ადრე დამთავრება ან გაცდენა არასაპატიო მიზეზით;

დ) საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში, არანაკლებ ლექციის/სემინარის პრაქტიკული მეცადინეობის წინა სამუშაო დღისა შეატყობინოს გაცდენის შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გაცდენის მიზეზი წინასწარ დაუდგენელი საპატიო და ობიექტური გარემოება გახდა;

ე) სასწავლო კურსით გათვალისწინებული შეფასების სისტემისა და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, სამართლიანად და ობიექტურად შეაფასონ ყველა სტუდენტი;

ვ) ხელი შეუწყონ გამჭვირვალე სასწავლო გარემოს ფორმირებას;

ზ) შეიმუშაონ და დანერგონ სწავლებისა და შეფასების ისეთი მეთოდები, რაც განაპირობებს სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას და გამორიცხავს პლაგიატს;

თ) გამორიცხოს შეფასებაზე ზემოქმედების ფავორიტიზმის, პროტექციონიზმის და სხვა მსგავსი ფაქტორებით სტუდენტთა დისკრიმინაცია;

ი) არ დაუშვან სტუდენტების, მათი ახლობლების შესაძლებლობათა გამოყენება პირადი სარგებლისა თუ გამორჩენის მიზნით;

კ) დაწესებულების მიერ დადგენილ ვადებში წარმოადგინონ საგამოცდო საკითხები;

ლ) იზრუნოს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

მ) უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაიცვას ჩაცმის აკადემიური სტილი.

მუხლი 4. სტუდენტის ვალდებულებები და უფლებამოსილებები

1. სტუდენტი ვალდებულია:

- ა) დაიცვას ეთიკის წესი და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა აქტებით განსაზღვრული რეგულაციები;
- ბ) პატივი სცეს დაწესებულების პერსონალს და სხვა სტუდენტებს, არ მიაყენოს მათ შეურაცხყოფა;
- გ) პირადი სარგებლის სანაცვლოდ, პერსონალის წარმომადგენლებს არ შესთავაზოს ფასიანი საჩუქარი, ფულადი თანხა ან სხვა სახის გამორჩენა;
- დ) უნივერსიტეტში არ შეიტანოს ალკოჰოლი, ნარკოტიკული საშუალებები, იარაღი;
- ე) ხელი შეუწყოს დაწესებულების ავტორიტეტის ამაღლებას.
- ვ) აკრძალულია აზარტული თამაშები, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არამართლზომიერი ქმედების ჩადენა;
- ზ) დაუშვებელია უნივერსიტეტის შენობაში და მის ტერიტორიაზე სიგარეტის მოწევა;
- თ) სტუდენტი ვალდებულია არ ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე. კერძოდ:
 - გადაიწეროს სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოიყენოს სხვა სახის დამხმარე მასალა, რომელიც სასწავლო კურსის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული;
 - სხვა სტუდენტის ნაცვლად ჩააბაროს გამოცდა ან სთხოვოს სხვა პირს მის მაგივრად გამოცდის ჩაბარება;
 - მოიპოვოს ან/და გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია გამოცდის შესახებ;
 - შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე მოახდინოს სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირება;
 - გააყალბოს თავისი მონაცემები;
 - სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს მისი კანონიერი უფლებების დაცვა (მაგ.: გაასაჩივროს მისთვის არასასურველი სწავლის შედეგი და სხვ.) და განცხადებით მიმართოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს

თავი III. დისციპლინური წარმოება და დისციპლინური პასუხისმგებლობა

მუხლი 5. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები და დისციპლინური წარმოების ვადები

1. წინამდებარე წესის მოთხოვნათა დარღვევა განიხილება, როგორც პერსონალისთვის და სტუდენტისათვის შეუფერებელი საქციელი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამ წესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება;

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველებია:

ა) მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა;

ბ) უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

გ) ამ წესით გათვალისწინებული ეთიკის ნორმების დარღვევა;

დ) ნებისმიერი საქციელი/ქმედება, რომელიც შეიძლება ფორმალურად არ შეიცავს ამ მუხლით გათვალისწინებულ ქმედებებს, მაგრამ ეწინააღმდეგება ეთიკურ–ზნეობრივ ნორმათა მოთხოვნებს.

3. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის, სტუდენტის, აგრეთვე იმ პირის მოტივირებული განცხადება/საჩივარი ან შეტყობინება, რომელსაც მიაჩნია, რომ უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის ან სტუდენტის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები.

4. დისციპლინური წარმოების ვადები

ა) პირს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური დარღვევის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია ერთი წელი, ხოლო დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – სამი (3) თვე;

ბ) დისციპლინური კომისიის მიერ საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის ვადაა განცხადების/საჩივრის მიღებიდან ერთი (1), ხოლო საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისა კი - დისციპლინური დევნის აღძვრიდან ერთი (1) თვე. პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საქმის განხილვა შეჩერებული ან გადადებულია, არ ჩაითვლება ამ აქტით განსაზღვრული საქმის წარმოების საერთო ვადაში.

მუხლი 6. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანო, მისი უფლებამოსილებანი და საქმის განხილვის პროცესში ჩართული პირები

1. უნივერსიტეტში დისციპლინური წარმოება დამრღვევ პირებთან მიმართებით ხორციელდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრული დროებითი კომისიის - დისციპლინური კომისიის მიერ;

2. კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის დროს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება დროებითი კომისიის შემადგენლობა;

3. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ მოსარჩელე/განმცხადებელი და პირი, რომლის წინაშეც დაწყებულია დისციპლინური წარმოება;

4. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 5 წევრით, უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის, სტუდენტის ან/და სხვა მოწვეული პირით;

5. დისციპლინურ კომისიას გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები:

ა) განსაზღვროს, აღიძრას თუ არა დისციპლინური დევნა საკუთარი ინიციატივით ან შემოსული ინფორმაციის (განცხადება/საჩივარი) საფუძველზე;

ბ) შეამოწმოს დისციპლინური დევნის აღძვრისათვის ამ წესით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები;

გ) ჩამოართვას ახსნა-განმარტებები საჩივრის ავტორს და პირს, რომლის წინააღმდეგაც შემოსულია საჩივარი, გაესაუბროს მხარეს და მოითხოვოს ინფორმაციის დაზუსტება, დოკუმენტების და შესაბამისი მასალების წარდგენა; გაითვალისწინოს შემოსული შუამდგომლობები და დამატებითი ახსნა-განმარტები. ინფორმაციის ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში, ის გახდება დისციპლინური დევნის განხორციელების საფუძველი;

დ) დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური დევნის) არააღძვრის შემთხვევაში, მომჩივანს დაუბრუნოს საჩივარი და დასაბუთებული გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ;

ე) განახორციელოს დისციპლინური დევნა, განიხილოს საკითხი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება;

ვ) დისციპლინური დამრღვევისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, შესაბამისი გადაწყვეტილება აღსრულებისათვის წარუდგინოს დაწესებულების რექტორს.

6. დისციპლინური დამრღვევის მონაწილეობა საქმის განხილვაში:

ა) დისციპლინური დამრღვევის დასწრება საკითხის განხილვაზე სავალდებულოა. მას უფლება აქვს დაასაბუთოს საკუთარი ქმედების შესაბამისობა ამ წესის ძირითად პრინციპებთან და წარმოადგინოს აღნიშნული ქმედების მოტივაცია;

ბ) თუ პირი არ გამოცხადდება სხდომაზე, სხდომა უნდა გადაიდოს 10 დღით. თუ პირი არასაპატიო მიზეზით მეორედ არ გამოცხადდება განმეორებით დანიშნულ სხდომაზე, გადაწყვეტილების მიმღები ორგანო/პირი უფლებამოსილია განიხილოს საქმე დისციპლინური დამრღვევის დასწრების გარეშე და სათანადო საფუძველის არსებობის შემთხვევაში, გამოიტანოს გადაწყვეტილება და დააკისროს დისციპლინური სახდელი;

გ) თუ პირი ვერ ცხადდება სხდომაზე საპატიო მიზეზით, საკითხის განმხილველ ორგანოს/პირს უნდა წარედგინოს მისი გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის ამსახველი დოკუმენტაცია. აღნიშნულ შემთხვევაში დისციპლინურმა ორგანომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა;

დ) საქმის განხილვის შეჩერების მიზეზის ამოწურვის შემდეგ, დისციპლინური კომისია განაახლებს საქმის განხილვას.

მუხლი 7. განცხადება/საჩივრის განხილვის პროცედურები და წესი

1. დისციპლინურმა კომისიამ საჩივრის ან განცხადების მიღებიდან ერთი (1) თვის განმავლობაში, უნდა შეისწავლოს საქმის მასალები, მიიღოს გადაწყვეტილება, არსებობს თუ არა დისციპლინური დევნის აღძვრის საკმარისი საფუძველი და გამოიტანოს გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის, ან დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ;

2. არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, ან უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება თუ:

- ა) საჩივარი ან შეტყობინება არ აკმაყოფილებს დასაშვებობის პირობებს;
- ბ) საჩივარი ან შეტყობინება ინფორმაციის სისწორის შემთხვევაშიც კი არ იძლევა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს;
- გ) ვადები დისციპლინური დევნის ან დისციპლინური სახდელის დაწესებისათვის ამოიწურა;
- დ) მოკვლეული მასალები არ იძლევა საფუძველს დისციპლინური დევნის აღძვრისათვის;
- ე) შემოწმებული მასალები მიუთითებს, რომ პირმა ჩაიდინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართალდარღვევა ან დანაშაული, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ეცნობებატ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს;
- ვ) თუ საჩივრის ან შეტყობინების ავტორი უარს იტყვის საჩივარზე, დისციპლინური საბჭო უფლებამოსილია შეწყვიტოს ან გააგრძელოს დისციპლინური დევნა.

3. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი ორგანო საჩივარს ან განცხადებას უბრუნებს მომჩივანს და დაურთავს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ.

4. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

5. დისციპლინური წარმოების შეჩერება და გადადება შესაძლებელია:

- ა) თუ საქმის შესწავლის დროს მოპოვებული მასალა ცხადყოფს, რომ პირს შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის დანაშაული. ასეთ შემთხვევაში, საქმე უნდა წარიმართოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- ბ) დისციპლინური წარმოების გადადება შესაძლებელია, თუ საჩივრის შესწავლის პერიოდში წარმოიშვა ობიექტური სირთულეები ან დაბრკოლებები (პირის ავადმყოფობა ან სხვა შემთხვევები), რაც შეუძლებელს ხდის საქმის წარმოების გაგრძელებას.

6. დისციპლინური დევნის შეჩერების ან გადადების მიზეზის აღმოფხვრის მომენტიდან საქმის განხილვა განახლდება.

7. განცხადების/საჩივრის განხილვის წესი:

- ა) დისციპლინურმა კომისიამ განცხადება/საჩივარი უნდა განიხილოს სამართლიანად და მიუკერძოვებლად, შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვით. დისციპლინური ორგანოს სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური წარმოების მსვლელობაში მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალური;
- ბ) დისციპლინური კომისიის სხდომებს ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო საქმის მიმდინარეობას დოკუმენტალურად ასახავს სხდომის მდივანი, რომელთაც ბრძანებით განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი;

გ) საჭიროების შემთხვევაში, სხდომაზე მოანაწილეობის მისაღებად დისციპლინურმა კომისიამ უნდა მოიწვიოს მოწმეები და სხვა პირები, რომელთაც უნდა შეატყობინონ სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი. დისციპლინური კომისია ვალდებულია მოისმინოს დამრღვევის ახსნა-განმარტება, რომელსაც უფლება აქვს დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობა მიიღოს როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. მხარეებს აქვთ უფლება სრულად წარმოადგინონ საკუთარი პოზიცია, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, წარმოადგინონ წერილობითი და სხვა სახის მტკიცებულებანი, აღძრან შუამდგომლობები დამატებითი მასალების, დოკუმენტებისა და ინფორმაციის წარმოდგენის თაობაზე, აგრეთვე ჩვენებების ჩამორთმევის მიზნით, მოითხოვონ სხვა პირების მოწვევა და სხვა ამ მუხლით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება;

დ) დისციპლინურ კომისიას უფლება აქვს, დაკითხოს მხარეები და სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული პირები, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, მასალები და ინფორმაცია, გამოიძახოს მოწმეები და განახორციელოს სხვა ქმედებები. დისციპლინური კომისიის სხდომაზე სხდომის მდივანი ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი;

ე) პირის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას დისციპლინური კომისია იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. შესაბამის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. განსხვავებული აზრი ფორმდება წერილობით და თან ერთვის გადაწყვეტილებას.

მუხლი 8. დისციპლინური სახდელის სახეები

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, დამხმარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სამსახურიდან განთავისუფლება

2. სტუდენტებისათვის დაწესებულია დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

ა) შენიშვნა;

ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შეღავათით/სტიპენდიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა.

3. შენიშვნა - როგორც დისციპლინარული სახდელის სახე გამოიყენება პირველი დისციპლინარული გადაცდომისათვის, აგრეთვე, თუკი დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებისას გადაწყვეტილების მიმრები ორგანო/პირი გაითვალისწინებს გადაცდომის ჩამდენის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედებისადმი - უფრო მძიმე სახდელის სანაცვლოდ;

4. საყვედური - გამოიყენება განმეორებით ჩადენილი დისციპლინარული გადაცდომისათვის, ასევე სტუდენტის მიმართ - აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში;
5. სასტიკი საყვედური - გამოიყენება არაერთგზის ჩადენილი დისციპლინარული გადაცდომისათვის, ასევე, სტუდენტის მიმართ - აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის შემთხვევაში;
6. სამსახურიდან განთავისუფლება - გამოიყენება დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მიმართ, თუ მათ ქმედებაში იკვეთება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომის პირობების უხეში დარღვევა, რაც შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად შესაძლებელია მოაზრებულ იქნეს;
7. შეღავათებით სარგებლობის უფლების შეზღუდვა - გულისხმობს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისათვის დაწესებული შეღავათის ან სტიპენდიის მოხსნას ან აღნიშნული შეღავათით/სტიპენდიით სარგებლობის უფლების დროებით შეჩერებას.

მუხლი 9. დისციპლინური სახდელის დაკისრება

1. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას დისციპლინური კომისია ვალდებულია გაითვალისწინოს დარღვევის (დარღვევების) სიმძიმე და ხარისხი, მიყენებული (ან შესაძლო) ზიანი. ასევე, დარღვევის განმეორებითი ხასიათი და დამრღვევის დამოკიდებულება ჩადენილ დისციპლინარულ გადაცდომასთან;
2. დაუშვებელია რამდენიმე სახდელის დაკისრება დარღვევისათვის;
3. გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს/პირის მიმართ საქმის გარემოებათა ყოველმხრივ შესწავლასა და ურთიერთშეჯერებას.

მუხლი 10. გადაწყვეტილება დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების თაობაზე

1. გადაწყვეტილება დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომის გადაცდომის თაობაზე ფორმდება დისციპლინარული კომისიის საოქმო ჩანაწერის ფორმით, რის საფუძველზეც უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ბრძანებას დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე;
2. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს:
 - ა) საკითხის განმხილველი ორგანოს/პირის დასახელებას;
 - ბ) საკითხის განხილვის თარიღს;
 - გ) დისციპლინური დამრღვევის სახელს, გვარს და თანამდებობას;
 - დ) დისციპლინური დევნის დაწყების და დისციპლინური სახდელის დაკისრების თარიღს;
 - ე) დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებათა აღწერას;
 - ვ) დისციპლინური დარღვევის არსსა და დისციპლინური დამრღვევის შეპასუხებას;

თ) გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს;
ი) დისციპლინური დარღვევის სახესა და დაკისრებული დისციპლინური სახდელის სახეს;

კ) დისციპლინური წარმოების შეწყვეტის, საჩივრის ან შეტყობინების უარყოფის, ან დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველს.

3. დისციპლინური ორგანოს/პირის გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი ეგზავნება დისციპლინის დამრღვევს გადაწყვეტილების გამოტანიდან ხუთი (5) დღის განმავლობაში;

4. გადაწყვეტილების ასლი უნდა დაერთოს დისციპლინური დამრღვევის პირად საქმეს;

5. დისციპლინური დამრღვევი უფლებამოსილია გაასაჩივროს დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 11. დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულება

1. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება ძალაში შედის გასაჩივრების ვადის გასვლისთანავე, ან გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე.

2. გადაწყვეტილებას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების თაობაზე აღსრულებს უნივერსიტეტის რექტორი, მისი ძალაში შესვლიდან ერთი (1) თვის ვადაში.

მუხლი 12. სახდელის მოქმედების ვადები

1. სახდელები: შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური მოქმედებს მხოლოდ გარკვეული ვადით, რომლის ამოწურვამდეც დისციპლინური დამრღვევი ითვლება დისციპლინურ სახდელშეფარდებულად;

2. თუ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში პირი არ ჩაიდენს ახალ დისციპლინურ დარღვევას დისციპლინური სახდელი გაქარწყლდება, კერძოდ, შენიშვნა ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი თვის შემდეგ, საყვედური და სასტიკი საყვედური - ექვსი თვის შემდეგ. დისციპლინურ სახდელშეფარდებული პირისათვის განმეორებით დისციპლინური სახდელის შეფარდება ხდება დამოუკიდებლად;

3. თუ შესაბამისი პერიოდის განმავლობაში პირი არ ჩაიდენს ახალ დისციპლინურ დარღვევას შენიშვნა ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან სამი (3) თვის შემდეგ, საყვედური, სასტიკი საყვედური - ექვსი (6) თვის შემდეგ;

4. უნივერსიტეტის მიერ დადგენილი შეღავათით/სტიპენდიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა ხდება სასჯელის შეფარდებიდან უნივერსიტეტში დარჩენილი სტუდენტის სტატუსის ვადით.

თავი IV. დასკვნითი დებულებები

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

1. წესი ძალაშია ხელმოწერისთანავე;
2. ამ წესი ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად უნივერსიტეტის დებულებით გაწერილი პროცედურების დაცვით.